№ 89 28 აპრილი, შაბათი 1866—1879 28 აპრილი, შაბათი № 89

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

Цалкэ ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ერთი ასოებით ახოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ნაბეჭდ. ცალ. ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდებ.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ტირნოვო, 25 აპრილს. როდესაც რუსეთის კამისარი თ. დანდუკოვ-ორსაკოვი დაბრუნდება ლივადიიდამ, დეპუტაცია მხოლოთ მაშინ წავა აქედამ ახლად-ამორჩეულ ბოლგარიის მთავართან ალექსანდრე ბატენბერგთან.

პეტერბურღი, 26 აპრილს. „მმართველობის მოამბეში" დაბეჭდილია ასტრახნიდამ მიღებული ამბავი, რომ ამ ქალაქში ხურება (საოფლე) გაჩენილა. ადგილობრივი მთავრობა ჯეროვან სახსრებს ხმაროს, რომ ავადმყოფობა არ გავრცელდეს.

ტირნოვო, 26 აპრილს. რუსის ჯარები 10 მაისს დაიწყებენ ალმოსავლეთ რუმელიიდამ გამოსელას. მაისის განმავლობაში დაბრუნდებიან აგრეთვე რუსის ჯარები ბოლგარიიდამაც.

კელნი, 25 აპრილს. „ქელნის ბაზეთში" იწერებიან, რომ ბოლგარიის მთავარი თ. ალექსანდრე ბატენბერღი რუსეთის იმპერატორმა მიიპატიჟა ლივადიაში და დღეს მიდისო; დაბრუნდება თუ არა იქიდამ, ბოლგარიის დეპუტაციას მიიღებსო.

პეტერბურღის ბირჟა, 25 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	—	96—75
მეორე	—	96—12
მესამესი	—	96— „
მეოთხესი	—	96—12
ალმოსავლეთის პირ.	—	93—50
ალმოსავლეთის მეორე	—	93—75
ოქრო, ½ იმპერიალი	—	8—50

თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —— „— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	—	242— „
მეორე სესხის	—	236— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	—	23—	„ პენსი
ამსტერდამი	—	115 62	ცენტი
ბერლინი	—	—194	პფენიგი
პარიჟი	—	—242	სანტიმი
ქაკასიის კერასინი	—	„ —	„

საქართველო

ერთი საყურადღებო საქმე.

(მეურნეობის გავრცელება ხალხში)

ერთს რუსულ ჟურნალში „Сельское Хозяйство и Лѣсоводство" ამ წლის მეორე ნომერში დაბეჭდილია ერთი სტატია ამ სათაურით: „Годовой отчетъ Маріинской хозяйственной школы для рабочихъ, въ имѣніи г.г. Ребиндеръ, Курской губерніи, въ сел. Шебекинѣ."

ეს სტატია ძალიან ძვირფასია ყველა ქართველ მემამულეთათვის, განსაკუთრებით მრავალ მამულიანთათვის და დიდი მეურნეობის პატრონთათვის; ამიტომაც მოვალეთ ვრაცხ თავის თავს ვაცნობო ამ სტატიის შინაარსი, მოკლეთ მაინც, ჩვენ ქართველ მკითხველებს და შემდეგ ჩვენი მოსაზრებაც დაურთოთ ყველა ამას.

აი ამ სტატიის შინაარსი მოკლეთ:

საქმე იმაში გახლავსთ, რომ უფალთ რებინდერებს აქვთ დიდი მამულები, რომლის შემუშავებას იგინი ერთგულად მისდევენ. ამათი მამული უნაკლისოდ და ყოველისფრით მოწყობილია (იარაღებით, მცოდნე მეურნეებით და სხვ.)

ამ მამულის წარმატებით შემუშავებას მრავალჯერ მხოლოდ ის მიზეზი აბრკოლებდა, რომ საკმარისად და კარგ მუშებს ვერ შოულობდნენ და თუ შოულობდნენ, იმათაც მეტათ ძვირათ. ამიტომ განიძრახეს ამ მემამულეთა იმ გვარი შკოლის გამართვა, რომლის შაგირდები შეიძლებდნენ ნაქირავი მუშების მაგიერობას და რომელნიც აღასრულებდნენ ყველა იმ საქმეთ, რისთვისაც აქამომდე მუშებს ქირაობდნენ. განიძრახეს და სისრულეშიაც მოიყვანეს ეს თვისი განძრახვა:

ამათ დაარსეს თავიანთ თვალ-გაუწვდენელ მამულში სამეურნეო სასწავლებელი, შემდეგი დაწყობილობით: მოიპოვეს ყველა სასწავლო საგნებთა მასწავლებელი, აგრეთვე კარგი აგრონომი, პიროუტყეთ გამშენებელი, ექიმი და სხვ... მიიღეს ყოველის ძალ დაუტანებელათ გლეხის შვილები თვით გლეხების საკუთარი თხოვნით (მხოლოდ 13-14 წლოვანები და ამაზე ნაკლები კი არა), და ამასთან მხოლოდ იმ გვარნი, რომელთაც კარგათ შეასრულეს სასოფლო შკოლების დადებული კურსი; სულ მიიღეს ოთხმოცამდი შაგირდი.

ყველა ეს ყმაწვილი მუშაკები მემამულეებმა მიიღეს თავიანთ სრულ ხარჯზე და ამის გარდა მუშაობისათვის თითო შაგირდს წელიწადში აძლევენ ოცოც მანათ ნაღდ ფულს; სწავლის ვადა დანიშნეს ხუთი წელიწადი, პირველ წელიწადს ყოველი შაგირდი მიიღება უჯამაგროდ; ჯამაგირი შაგირდებს ეძლევა მხოლოდ მეორე წლიდამ. ყოველი საქმე, რომელიც კი უნდა გაკეთებულიყოს უფალთ რებინდერების მამულში დაქირავებული მუშებით, შარშან გაკეთდა ამ ახალგაზდა მუშაკთა ხელებით.

როგორც უფ. ქრასინსკის ანგარიში გვაჩვენებს, აქამომდე, ე. ი. ვიდრე მამულს აკეთებდნენ დაქირავებული მუშებით, თითო სამუშაო დღე და თითო მუშა უჯდებოდათ პატრონებს 28 კაპეიკი. ახლა კი თითო სამუშაო დღე და თითო მუშა (შაგირდი დაუჯდათ 25 კაპიკი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ როდესაც მუშები-შაგირდები ყოველთვის მზათა ჰყავთ ხელთ-ქვეშ, მათი მუშაობა არაოდეს არ შეჰსდგება, მუშაობა ყოველ დღე თავის რიგზე მიდის, მაშინ უფრო ცხადათ გამოჩნდება რა საოგებლობა მოუტანეს უფ. რებინდერებმა როგორც თავიანთ მეურნეობას, აგრეთვე თვით ახალგაზდა გლეხთა შაგირდ-მუშაკებს.

რებინდერებმა დაახლოებით დახარჯეს სულ 50,00 მანეთი. ამაში შაგირდების ჩაცმა-დახურვაც, ჭამა-სმაც, აღზრდა-სწავლაც, მუშაობისფასიც და ყოველიფერიც; ანუ სხვანაირად ესთქვათ—5000 მანათი არის მამულის შემუშავებაზე დახარჯული ფული.

უფ. ქრასინსკის ანგარიშს ერთი ის ნაკლი აქვს, რომ იგი არასფერს არ გვეუბნება იმაზე, თუ რამდენი შემოსავალი ჰქონდათ უფალ რებინდერებს, ამოტეღლა და ამ ორიგინალური ხარჯის შემდეგ. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ რებინდერებმა ხარჯზე ბევრად უფრო მეტი დაიბრუნეს და ეგრეც უნდა იყოს.

ახლა თვითონ ჩვენა ესთქვათ რამე ამ საქმეზე.

რითია ეს მოვლენა მოსაწონი? რითია იგი ფრიად საყურადღებო ჩვენი მრავალქონებიანთ მემამულეთათვის?.. ბევრს ლაპარაკობენ, ბევრსა სწერენ და ბევრს ქადაგობენ საზოგადოთ განათლების და კერძოთ კიდეე სამეურნეო ცოდნის გავრცელებაზე ჩვენ პატიოსან მუშაკთა შორის. მაგრამ აბა სად და ვინ რა გააკეთა ამ მხრითა? რომ ჩვენ ხალხს სამეურნეო სასწავლებლები უფრო შეჰფერის, ვიდრე სხვა გვარი სასწავლებელი, ამაში ეჭვი არ არის.

მაგრამ ვერც სამეურნეო სასწავლებლები მოიტანენ იმ ნაყოფს, რის მოტანაც ადვილათ შეეძლებოდათ, თუ ასე იქნებიან დაწყობილნი, როგორც აწინდელი შკოლებია დაწყობილი. ამით მე ის მინდა ვსთქვა, რომ სამეურნეო სასწავლებელნი, დაარსებულნი ცალკეთ, თავის-თავათ, კეთილ-მყოფელ საზოგადოებათაგან თუ სხვათაგან, თავის დღეში ვერ მოიტანენ დანიშნულ ნაყოფს. აქ საჭიროა, რომ ინტერესი შკოლისა შეკავშირებული იყოს თვით დამაარსებელთ ინტერესებთან, ანუ პირ-იქით— რომ დამაარსებელთ ინტერესები უთუოთ დამოკიდებულნი იყვნენ თვით სასწავლებელზე, ანუ კიდენ სხვანაირად ვსთქვათ —სასწავლებელნი და მათი დამმაარსებელნი ასე მაგრათ უნდა იყვნენ ერთმანერთზე გადაკვანძილნი, რომ ერთის აკათმყოფობა მეორის ავათმყოფობა იყოს, ერთის ბედნიერება მეორის ბედნიერება იყოს, ერთის დაზხობა, მიწასთან გასწორება, მეორის დამხობა და მიწასთან გასწორება იყოს.

აი მხოლოდ ამ გვარად მომართულ და დაწყობილ სამეურნეო სასწავლებელთ ექნებათ მკვიდრი მომავალი, მხოლოდ იგინი დაგვიბადევენ ჩვენ მცოდნე, ერთგულ და პატიოსან გლეხთა მეურნეებს.

ახლა როგორ უნდა მოხდეს ჩვენში ამ გვარი სასწავლებლის დაარსება და გამრავლება? თქმა არ უნდა, რომ გამრავლება ამ გვარი სასწავლებლებისა ძნელი არ არის, თუ ჩვენ გვყვანან განათლებული, მრავალ-ქონებიანი და დიდი მეურნეობის მემამულენი. ყველა შეძლებულ და მრავალ-ქონებიან მემამულეს შეუძლიან გამართოს თავის მამულში ამ გვარი სასწავლებელი, დიდი თუ არა, პატარა მაინც—ოცი, ოც-დახუთი შაგირდით. შეიძლება აგრეთვე, რომ მთელმა ამხანაგობამ გამართოს ამ გვარი სასწავლებელი და მით სარგებლობა მოუტანონ, როგორც თავიანთ საქმის, აგრეთვე მოსწავლე შაგირდებსაც.

და მართლაც, რა ძნელი იქნება იმ მემამულესათვის, რომელსაც ყოველ წლიე სამასი, ხუთასი თუმანი ხარჯი მოჰსდის თავისი მამულების შემუშავებაზე, ერთი სამეურნეო შკოლა გამართოს? ბანა არ შეიძლება ამავე ხარჯით ისეთივე ახალ-გაზდა მუშაკთა შკოლა გაიმართოს, როგორც ქურსკის გუბერნიაში რებინდერებმა გამართეს? ბანა სამოც ჭაბუკთა ძალით კი ვერ იწარმოება მეურნეობა? ძალიან კარგათ, მხოლოდ ცოდნა და გონიერი დაწყობა გვმართებს, მეტი არაფერი.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვაქვს რამოდენიმე ასი დღიური მიწა, სადაც უნდა გავაშენოთ ყურძნის ვენახები, ხეხილის ბაღები, მრავალი დღიური უნდა მოეხნათ, დავთესოთ, სადაც აგრეთვე უნდა შევინახოთ და მოვაშენოთ იმდენი საქონელი, ფრინველი, რამდენიც საჭირო იქნება ჩვენი მეურნეობის წარმოებისათვის. ყველა ამაებისათვის პირველათ, რასაკვირველია, ბლომა ხარჯი მოგვინდება—მიწის, იარაღების, სახლების, საქონლის შეძენაზე. მაგრამ ეს ხარჯი ხომ ყოველ ახალ დაწყებულ საქმეს მოსდევს! ამ მამულში გაგმართეთ ორი სასწავლებელი: ერთი ვაჟებისა და მეორე იქავე ახლო ქალებისა. ვათქვათ, რომ ვაჟების სასწავლებელში იმყოფება 50 შაგირდი და ქალების შკოლაში კი 20. ორივე შკოლის მოწაფეებს ჩვენ მივიღებთ სრულიად ჩვენ ხარჯზე და, როგორც რებინდერები, ჩვენც მუშაობის ფასსაც ვაძლევთ მოწაფეებს. ორივე შკოლაში მივიღებთ მხოლოდ სასოფლო შკოლების კარგათ დასრულების შემდეგ ვაჟებს 14 წლიდამ და ქალებს 13 წლიდამ. სწავლა გრძელდება ვსთქვათ ოთხი წელიწადი. ვაჟებს ვასწავლით თეორიას გარდა, მცოდნე გამოცდილი მასწავლებლების ჩვენებით, თვით მუშაობით, საქმის წარმოებით, მებაღლობასაც, ღვინის კეთებასაც, არაყის გამოხდასაც, ხვნა-თესვასაც, მომკა-ლეწვასაც, პირუტყვის გაშენებასაც და მოვლასაც, აგრეთვე მჭედლობას, დურგლობას. ქალებს კიდენ ვალად ედებათ შინაობის საქმე შეისწავლონ, ამათაც თვით საქმეზე, და თეორიას გარდ: აალაგონ და დაალაგონ ყველა ოთახები, სუფრა გაშალონ, სადილი მოამზადონ, ჭურჭელი დარეცხონ, დაწმინდონ, პური გამოაცხონ, სარეცხი დარეცხონ, ტანსაცმელი და ყველაფერი რაც შესაკერია შეკერონ, რაც მოსაქსოვია მოქსოვონ; ძროხა მოსწველონ, რძის ნაწარმოებანი მოამზადონ, შინაური ფრინველთ მიჰხედონ, გააშენონ და სხვა ამ გვარები. და ყოველიფერი ეს უნდა აკეთონ როგორც თავიანთ სასწავლებლისთვის, აგრეთვე, ვაჟების სასწავლებლისთვის.

აგრე და ამ გვარად, ერთმანერთის ხელის-შეწყობით, საქმე უფრო კარგათ და წარმატებით წავა. თქმა არ უნდა, რომ ქალებს ყოველი ზემო-თქმულის შესასწავლებლათ უნდა ჰყვანდესთ კარგი მცოდნე და დახელოვნებულნი ყოველ ამ საქმეში მასწავლებელნი ქალნი.

ამ გვარად, მემამულე თუ მთელი ამხანაგობა, საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილების გარდა, განათლებულ და მცოდნე მეურნეებსაც დაგვიზდიან, არა მხოლოდ ვაჟებისას, არამედ დედათ სქესისაც.

ჩემი სიტყვა ეს არის და ვინ იქნება ამ სიტყვის განმამართლებელი და განმახორციელებელი, ამას დრო და ჟამი გვიჩვენებს!...

ვანო როსტომაშვილი

ქ. ზაქათალა, 20 აპრილს.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ უფ. არწრუნის თეატრი მომავალი მაისის შუა რიცხვებში სრულიად მზად იქნებაო. ამბობენ, რომ პირველ სალამოს, თეატრის გახსნის დღეს, წარმოდგენილი იქნება ერთი ქართული პიესა და ერთიც სომხურიო.

*** კავკასიის ნამესტნიკის მთავარსამმართველო აცხადებს, რომ ამ მოკლე ხანში დანიშნული იქნება ეკონომიური გაცემაზედ სალარნის, შაქახის, ნუხის, ბაქოს, ერაქლის, ყუბის და სხვა წყლების თეგზისა. იჯარა გაიცემა ერთის წლის ვადით ამ წლის 1 იელისიდან. დაწვრილებითი პირობების შეტყობა სახელმწიფო ქონებათა ბამკეობაში შეიძლება.

რადგანაც თეგზს ჩვენი ქვეყნის ღარიბი ხალხის ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელობა აქვს, ამის გამო სასურველია, რომ ეს იჯარა უფრო რიგიანის წესით გაიცეს, სასურველია, რომ მეიჯარადრეები უფრო მტკიცე პირობით იყვნენ შეკრულნი, ვინემ დღემდინ იყვნენ.

*** ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა „წესდება საქართველოს ხალხში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“.

ჩვენ შევიტყვეთ ახლა, რომ, ამ საზოგადოების საქმის დასაწყობად, მომავალის 15 მაისისათვის დანიშნულია თბილისში საზოგადო კრება ყველა წევრებისა. ამ დღესვე შეუძლიანთ მოვიდნენ გარეშე პირნიც, რომელნიც ამ საქმეს თანაუგრძნობენ და წევრად ჩაეწერონ.

ამ მოკლე ხანში დავიწყებთ ჩვენს გაზეთში ბეჭდვას ამ ფრიად საესარგებლო საზოგადოების წესდებისას, და იმედი გვაქვს, რომ, როცა ჩვენი მკითხველები ამის კეთილშობილურს მიზანს გაიცნობენ, მაშინ უფრო გულმხურვალე და მატერიალურ თანაგრძნობას გამოუცხადებენ იმას...

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ახლად დაბეჭდილი კავკასიის ნამესტნიკის ტიპოგრაფიაში „ფსალმუნი დავითისი“, რომელიც გამოიცა „ბრიტანიისა და უცხო-ქვეყანათ ღვთის-მეტყველების საზოგადოებისაგან.“

ფსალმუნი ჩინებულს ქაღალდზედ არის დაბეჭდილი, სუფთად, აკადემიურის ასოებით, ასე რომ ამისთანა შნოიანად გამოცემული წიგნი ჩვენში თითქმის სულ არ მოიპოვება. მაგრამ ყველაზე უფრო ყურადღების ღირსი ამ წიგნისა არის მ'მვენიერი, ინგლისური ყდა, რომლის მსგავსსაც ჩვენში ოთხ-ბაზ ნაკლებ არ გააკეთებენ; ეს ფსალმუნი კი, ყდით, სულ ხუთ შაურად ისყიდება.

*** ბაზეთს „მშაკში“ იწერებიან ახალ-ქაღ აქიდამ, რომ ამ ქამად იქითკენ გლეხ-ხალხში რალაც სატკივარი გაჩენილა და ბევრი იხოცებაო.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

25 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ.

სხდომა გაიხსნა მეორე საათზე ნაშუადღევს ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის უ. ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით.

ამ სხდომას დაესწრენ ას ორი წევრი. პირველათ თავ-მჯდომარემ მოახსენა

კრებას წარსული წლის ანგარიში შემოკლებით და შემდეგ ჰკითხა საკმაოა ეს მოკლე მოხსენება ანგარიშისა და დაამტკიცებთ ახლავე ანგარიშს, თუ გნებავსთ ანგარიში დაწერილებით განიხილოთ და შემდეგ დაამტკიცოთო?

კრებაში სიჩუმე. თავმჯდომარე განმეორებით მიჰმართავს საზოგადოებას იმავე კითხვით.

უფ. ბ. ლ ო ღ ა ბ ე რ ი ძ ე „საკმაო დავამტკიცოთ“.

ორმა-სამმა სხვებმაც დასძინეს: „საკმაოა, საკმაო; დავამტკიცოთ!“

თავმჯდომარე განმესამებით ჰკითხავს საზოგადოებას, ჰსურს თუ არა მას ახლავე დაამტკიცოს წარსული წლის ანგარიშის.

უ. ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ახლავე, ამ საათში, ანგარიშის დამტკიცება არ ივარგებს. ბევრს ჩვენგანს არ უნახავს ჯერ ანგარიში არ წაუკითხავს და ამისთანებს როგორ შეუძლია დაამტკიცონ ანგარიში? ანგარიშის ზოგიერთ მუხლების განხილვა და გასჯა საჭიროა. შეიძლება დღეს ნასადილევს, საღამოს, რედგან საღამოს სხდომა არ იქნება, მოვახდინოთ სადმე კერძო,კრება საცა შეუძლია ყველა წევრს მოვიდეს; ამ კრებაზე უფრო დაწერილებით გავეცნათ ანგარიშს და ხვალ დავამტკიცოთ.

ან. ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. მე ვგონებ, ახლავე უნდა დამტკიცდეს ანგარიში. თუ ახლავე არ დამტკიცდა, ამ გარემოებას გავლენა ექნება ბირჟაზე ჩვენი ბანკის გირსოს ფურცლების შესახებ..

ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი ბირჟაზე გირაოს ფურცლებსა აქვს მნიშვნელობა მამულების ძალით და ჩვენი მამულები სად გაჭქრებიან ამ რამდენსამე საათში, რომ ბირჟაზე ბანკის საქმე წახდეს? ჩვენი ბანკი საადგილ-მამულო ბანკია, და ამისთანა ბანკი უფრო მკვიდრია. ჯერ არაფერი უწესობა მიმხდარა, არაფერი დაშავებულა ისეთი, რომ ჩვენს გირაოს ფურცლებს ძალა დაეკარგოს. ცოტა შეჩერება არას წაახდენს. იქნება მადლობა გვაქვს სათქმელი ბანკის მმართველებთან და ზედამხედველ ქომიტეტთან, მაგრამ, თუ საქმე არ განვიხილეთ და არ შევიტყვეთ, რისთვის უნდა ვუთხრათ მადლობა, ისე როგორ შეიძლება?

უ. ბ. ლ ო ღ ა ბ ე რ ი ძ ე. ეს საზოგადოების საქმეა. თქვენ თუ ვერ მოგიწერიათ ანგარიშის განხილვა, ამას კერძოთ თქვენთვის აქვს მნიშვნელობა, მაგრამ საზოგადოება კერძო პირებს ვერ დაუწყებს ცდას ამ შემთხვევაში. ანგარიშის განხილვა რანაირათ მოჰხდება? ამისთვის ან უნდა დანიშნოთ კომისია, ან და თვით საზოგადოებამ უნდა განიხილოს აქ. (საზოგადოთ უ. ბ. ლ ო ღ ა ბ ე რ ი ძ ი ს ჰაზრი ის იყო, რომ ამ საშუალებით საქმე დაგვიანდებაო).

ქირ. ბ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. მე არ ვგონებ. რომ ეჰვი შეიტანოს, ვინმემ ბანკის მმართველობაზე და ზედამხედველ ქომიტეტზე, ვითომ მათ რამე დაუშავებიოსთ ბანკში—საქმე სრულიათ ამაში არ მდგომარეობს,—მაგრამ კაცმა როგორ უნდა დაამტკიცოს ის, რაც მას არ განუხილავს, ანტ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ ჰბრძანა, გირაოს ფურცლების ფასი დაიწევს ანგარიშის დამტკიცების დაგვიანებამითო. ჩემის ჰაზრით ის უფრო იმოქმედებს გირაოს ფურცლების დაწევაზე როცა გაიგებენ რომ ჩვენ განუხილავად და განურჯელათ, ახირებულათ, უგულოთ ვიკიდებთ ხელს ანგარიშის დამტკიცებას ბევრს არ უნახავს ჯერ ანგარიშის ფურცლები დღეს ჰხედვენ თვალით ბევრი კიდევ არ არის, დღეს ამოვლენ. რა უშავს იმათაც გაიგონ ნგარიშის საქმე? მე თუ გინდა ახლავე მოვაწერ ხელს, ჩემის ძმრით დავამტკიცებ; მაგრამ სხვებს, ბევრ პირს, თუ არ განუხილავთ ჯერ, როგორ შეუძლიათ მათ დაიფასონ ღირსეულათ ანგარიში და ბანკის მოსამსახურების შრომა? კომისიის შედგენა ანგარიშის განსახილველათ საჭიროა არ არის; ამისთვის ჩვენ გვყავს ზედამხედველი კომიტეტის წევრები.

ანტ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ხვალისთვის რაღათ გადავდვათ? თუ მაინც და მაინც დაწერილებით უნდა განვიხილოთ ანგარიში, დავიწყოთ აქ, ამ სხდომაზე და განვიხილოთ, რასაც მოვასწრებთ; რაც არ მოესწრება, ხვალ განვიხილოთ და ასე.

საზოგადოებაში ბევრის ხმა მოისმა, მოვითმინოთ ცოტა ანგარიშის დამტკიცებისათვის; მოვილაპარაკოთ დღეს საღამოს და დამტკიცება ხვალ იყოსო.

ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი. უფ. თავმჯდომარე! ბოდიშს გამოუცხადოთ საზოგადოებას, რომ დღეს საღამოს კერძო კრება იქნება და მოჰბძანდენ იქ, ვინც ისურვებს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ჩვენი ჰაზრიც ისაა, რომ საღამ-საღამოობით მოვილაპარაკოთ შემდეგი დღის კითხვებზე. ვაცხადებ ამას საზოგადოთ.

თ. ნ ი კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. იმე! რასაკვირველია, სიჭირეა მოცდა და მოფიქრება. ახლა მოგვაჩეჩეთ ხელში ანგარიში და გვეუბნებით, ახლავე დაამტკიცეთო. ძვე რავა იქნება ეს?

კრებამ გადასწყვიტა ხმების უმრავლესობით ანგარიშის დამტკიცების გადადება 26 აპრილამდის.

შემდეგ თავსმჯდომარემ მოახსენა კრებას პანკის დამფუძნებელთ სიების შედგენაზე და ხაზინაში და პალატაში მოსამსახურე პირების დაჯილდოებაზე ჩვენი ფულის შენახვისათვის ბანკის გახსნამდის. ზედამხედველ ქომიტეტს ჰქონდა მინდობილი სისრულეში მოეყვანა დამფუძნებელთ სიები და გაეგო, თუ როგორ იყო შენახული ფული ბანკის გახსნამდის, რომ სცოდნოდათ, ღირსნი არიან ვისაც ჯილდოს უპირებენ, ჯილდოს მიღებისა თუ არა. ზედამხედველი ქომიტეტის თავსმჯდომარემ ჰსთქვა, რომ ცნობების გამოგზავნა ვითხოვეთ, საიდანაც ჯერ იყო, უმთავრესი სამმართველოს საშუალებითო, მაგრამ პასუხი მივიღეთო, რომ ჩვენ კაი ხანია მოგეცით ცნობები, რაც გვქონდაო, და, თუ არ გვიჯერებთ, თქვენ გამოგზავნეთ კიდევ თქვენი კაცი ჩვენთან, რომელსაც სრული ნება ექნება ყველა ჩვენ ანგარიშები თქვენი საქმის შესახებ გადასინჯოს და შეჰკრიბოს ცნობებიო. ჩვენ, სთქვა თავსმჯდომარემ, საკმაოთ ჩავსთვალეთ ის ცნობები, რომელნიც შეკრებილ იყვნენ განსვენებულთ ბესარიონ ლ ო ღ ა ბ ე რ ი ძ ი ს და ბესარიონ ჯაფარიძისაგან და უფ. ი. მესხისაგანო. ბანკი რომ გავხსენით, ფული სრულათ არ მიგვიღია, მას აკლდა ათი-ათას-შვიდასი მანეთიო, როცა გამოვიანგარიშეთ დამფუძნებელთ სიებიდან შემოწმებითო, მაგრამ ხაზინაში და პალატაში მოსამსახურე პირების ბრალი არ არის ესო. ეს უფრო ჩვენი ბრალიაო. ჩვენი ქონებისათვის ჩვენ უნდა მოგვეფიქრო.

უ. ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი. საჭიროა გავიგოთ, რა მიზეზით დაგვაკლდა ამდენი ფული. იქნება ისინი იყვნენ ამაში დამნაშავე, ვისაც ჯილდო უნდა მიესცეთ.

ბევრი არჩიეს, ბევრი ილაპარაკეს და მივიდენ იმ დასკვნაზე, რომ პალატაში და ხაზინაში მოსამსახურე პირების ბრალი აქ არავითარი არ უნდა იყოსო, რომ ამ ფულის გამფანტველი აქ არ ირის და ველარც ვიპოვითო. და გადაჰსწყვიტეს, რომ პალატის და ხაზინის მოსამსახურე პირებს მიეცეს ჯილდო ხუთასი მანეთიო; ამასთანავე, ბანკის დამფუძნებელთ სიები დამტკიცდეს თანახმათ ბანკის წესდებისაო.

ქ ი რ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ბანკის დამფუძნებელთ რომ კვიტანციებს დაურიგებდეთ მათგან შემოტანილ ფულისას, კარგი იქნებაო. ყველას ეცოდინება, ვის რამდენი აქვს შეტანილიო და ყოველთვის სიების ჩხრეკა არ იქნება საჭირო, როცა დამფუძნებლები მოწეულნი იქნებიან ბანკის საქმის გამო. რომ რამე უბედურობა მოხდეს, ესთქვათ, დაიწვას ბანკის სადგომი და მასთან ყველა ქაღალდები, სიები, მაშინ ვინ რას გაიგებს, რამდენი აქვს შეტანილი ბანკშიო?

თავსმჯდომარემ ჰსთქვა, რომ ეს ურიგო არ იქნება, რომ ძველი არ იყოსო: დამფუძნებელთ რიცხვი ბევრია და ეს გაძნელებს საქმესო.

ქ ი რ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ უჩვენა ამ შემთხვევაში თფილისის ბანკის მაგალითი: იქ არსებობს ამისთანა კვიტანციებიო.

თავსმჯდომარემ უთხრა, რომ ეს წინადადება შეტანილ იქმნება საქმეშიო.

სხდომა შესწყდა ხვალ დილის ათ საათამდის.

ა. ჭიჭინაძე

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

ის მღელვარება, რომელიც გამოჩენილის რევოლიუციონერის ბლანკის ქ. ბორდოსაგან დეპუტატად ამორჩევამ მოახდინა, ჯერაც არ დაწყნარებულა საფრანგეთში, და არც დაწყნარდება, სანამ ეს საქმე როგორმე არ გათავდება.

სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ ეს საქმე, ე. ი. ბლანკის ამორჩევის უკანონოთ ჩათვლა, ნაციონალურ Კრებას მიანდოს; მთავრობა (შინაგან საქმეთა მინისტრი) მოითხოვს მხოლოთ, რომ, რადგან ბლანკის ყოველი პოლიტიკური ღირსება ჩამორთძეული ჰქონდა 1871 წლის არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ამის გამო იმის ამორჩევა უკანონოთ უნდა ჩაითვალოსო. ᲒᲐᲛᲑᲔᲢᲢᲐᲡ გაზეთი „საფრანგეთის რესპუბლიკა“ ურჩევს მმართებლობას, რომ ბლანკის პატიობა ეამოაცხადოს და ამნაირად იმის ამორჩევა კანონიერად ჩაითვლებაო.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲠᲣᲛᲔᲚᲘᲘᲡ ᲓᲔᲜᲔᲠᲐᲚᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲐᲓ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲝ-ᲤᲐᲨᲐ (თ. ᲕᲝᲒᲝᲓᲘᲠᲔᲡᲘ) ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲗᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲕᲐᲖᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲛᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐᲪ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ. ᲛᲘᲘᲚᲝ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲕᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲣᲛᲘᲡᲘ

ᲘᲐᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲙᲣᲛᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲕᲘ ᲡᲐᲛᲬᲓᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗᲔᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲥᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲨᲘ.

ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲡᲐᲨᲝᲕᲐᲠᲘ. (ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲨᲘᲜᲯᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲙᲣᲛᲘᲡᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ).

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲝᲗᲚᲘᲡᲐ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲓᲘᲓ ᲕᲝᲥᲝᲕᲝᲖᲜᲘ ᲩᲣᲥᲐᲨᲘ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡ № 20, ᲡᲐᲞᲔᲠᲜᲘᲡ ᲙᲐᲖᲐᲠᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲕᲐᲠᲔᲪᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲨᲐᲑᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲨᲐᲚᲝᲮᲜᲘᲡ ᲓᲣᲥᲐᲜᲨᲘ. (3—3)

ᲛᲝᲚᲕᲘᲢᲐᲜᲔ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲐᲓ ᲝᲠᲛᲝᲪᲘ ᲒᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ (ᲮᲔᲚᲘᲗ ᲡᲐᲗᲠᲔᲕᲘ ᲞᲐᲕᲝᲜᲖᲙᲐ) ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲗ. ᲫᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲜᲓᲐᲓᲔᲑᲐᲓ.

ᲧᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲤᲣᲚᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, № 31. (3—3)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲣᲤ. Გ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ** ᲣᲤ ᲙᲝᲢᲔ ᲛᲔᲡᲮᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡᲕᲔ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ **ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:**

ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘ

(ᲞᲝᲔᲛᲐ)

Გ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ Გ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲤᲐᲡᲘ—ᲝᲠᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-17 § ᲫᲐᲚᲘᲗ, ᲥᲕᲔᲛᲝ-ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲣᲤᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲛ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲕᲔ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ - ᲨᲔᲛᲔᲛᲣᲢᲐᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲛᲝ, ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲔᲕᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲐᲓ. ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲡᲧᲘᲓᲕᲐ ᲛᲮᲘᲡᲞᲝᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲔᲜ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ-ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲡ.

ᲑᲔᲕᲐᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ.	ᲠᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲐ	ᲡᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲘᲐᲠᲔᲝᲑᲔᲜ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ.
ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ, II ᲒᲘᲚ. ᲔᲐᲭᲐᲠᲘ.	ᲝᲠᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ, 52 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲣᲠᲗ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲕᲔᲨᲘ.
ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ, თ-დი.	ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 1088 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ.
ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ, ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲐᲖ-ᲠᲘ.	ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲔᲠᲗᲘ ᲮᲘᲡᲐ ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲕᲘᲗ-ᲙᲘᲠᲘᲡᲐ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ, 192 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲣᲠᲗ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲕᲔᲕᲔᲨᲘ.
ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲫᲔ, ᲒᲚᲔᲮᲘ.	ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 192 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲣᲠᲗ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲠᲘᲗ.
ᲓᲖᲘᲣᲑᲔᲜᲙᲝ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲨᲢᲐᲑᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘᲡ ᲪᲝᲚᲘ.	ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 378 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲣᲠᲗ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲑᲐᲚᲐᲮᲕᲐᲜᲨᲘ.
ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲫᲔ, თ-დი.	ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 378 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲣᲠᲗ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
ᲖᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ, ᲔᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, Კ-ᲜᲐ.	ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 1230 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲣᲠᲗ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲑᲐᲚᲐᲮᲕᲐᲜᲨᲘ.
ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ, ᲜᲐᲓᲒ. ᲡᲝᲤ.	ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 300 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ, ᲐᲖ-ᲠᲘ.	ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 225 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲗᲔᲗᲘᲛᲔᲡ ᲫᲔᲜᲘ, ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲓᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲫᲔ, ᲐᲖ-ᲜᲘ.	ᲝᲠ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 300 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
	ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, 225 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
	ᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲗ-ᲙᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲘᲡᲐ, 4 ᲓᲔᲡᲘᲐᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ 300 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲑᲐᲦᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲑᲐᲦᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
	ᲝᲠᲮᲘ ᲮᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ, 442 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
	ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲔᲠᲗ-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲗ-ᲙᲘᲠᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ, 168 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ ᲔᲖᲝᲗᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ.
ᲘᲒᲘᲕᲔ.	ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲛᲘᲬᲐ, ᲖᲝᲛᲘᲗ 36 ᲓᲔᲡᲘᲐᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ 360 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲑᲐᲜᲝᲯᲘᲡ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲨᲘ.
ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, ᲢᲐᲠᲐᲡᲘ ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘᲡ ᲫᲔ, თ-დი.	ᲨᲝᲠᲘ, ᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲜᲐᲕ-ᲡᲐᲗᲔᲡᲘ, ᲝᲪᲘ ᲓᲔᲡᲘᲐᲢ. ᲓᲐ 296 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮ. ᲡᲐᲥ.	ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲖᲔᲓᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲐᲡ.
ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡᲐ, ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲐ ᲫᲐᲮᲘᲡᲬᲠᲝᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲐᲖ.	ᲨᲝᲠᲘ, ᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲜᲐᲕ-ᲡᲐᲗᲔᲡᲘ 26 ᲓᲔᲡᲘᲐᲢ. ᲓᲐ 1500 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜ ᲡᲐᲥ.	ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲚᲐᲮᲣᲜᲓᲐᲠᲐᲡ.
ᲫᲐᲯᲐᲘᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ, ᲐᲖ-ᲠᲘ.	ᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲜᲐᲕ-ᲡᲐᲗᲔᲡᲘ 7 ᲓᲔᲡᲘᲐᲢᲘᲜᲐ ᲓᲐ 800 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ.	ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ Ს. ᲬᲐᲒᲐᲜᲡ.
ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, ᲡᲘᲡᲝ ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲘᲡ ᲫᲔ, თ-დი.	ᲔᲖᲝ, ᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲜᲐᲕ-ᲡᲐᲗᲔᲡᲘ 151 ᲓᲔᲡᲘᲐᲢᲘᲜᲘ.	ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ ᲣᲔᲖ. ᲡᲝᲤ. ᲚᲐᲡᲣᲠᲘᲐᲨᲘ.
ᲜᲘᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ᲘᲡᲐᲘᲐ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ, ᲒᲚᲔᲮᲘ.	ᲡᲐᲮᲜᲐᲕ-ᲡᲐᲗᲔᲡᲘ—2 ᲓᲔᲡᲘᲐᲢᲘᲜᲐ ᲓᲐ 300 ᲝᲗᲮ-ᲙᲣᲗᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲔᲜᲘ.	ᲨᲝᲠᲐᲞᲜᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲘᲡ.

ᲣᲤ. ᲒᲘᲒᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲑᲐᲦᲚᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲛ, ᲥᲐᲨᲕᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲘᲗ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲨᲘ. ᲒᲐᲠᲔᲛᲔ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ ᲬᲘᲗᲚᲔᲑᲘ: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Апрѣля 1879. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓ. Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.